საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

კულტურის სტატისტიკის მაჩვენებლები

2022 წელი

15.06.2023
www.geostat.ge

15.06.2023

კულტურის სტატისტიკა

2022 წელი

თეატრების სტატისტიკური გამოკვლევა

2022 წლის მონაცემებით, საქართველოში 52 პროფესიული თეატრი ფუნქციონირებდა, აქედან, 2 ერთეული იყო ოპერისა და ბალეტის, 41 - დრამის, მუსიკალური კომედიისა და მინიატურების, 2 - ბავშვთა და მოზარდმაყურებელთა, ხოლო 7 - თოჯინების თეატრი. თეატრების უმრავლესობა (51.9 პროცენტი) ფუნქციონირებდა ქ. თბილისში, 15.4 პროცენტი -იმერეთში, ხოლო დარჩენილი 32.7 პროცენტი სხვა რეგიონებში.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია პროფესიული თეატრების განაწილება თეატრის ტიპების მიხედვით, 2022 წელს.

დიაგრამა №1

თეატრების განაწილება თეატრის ტიპების მიხედვით, 2022 წელს



2022 წელს ქვეყანაში 4.0 ათასი ღონისძიება ჩატარდა, აქედან 256 იყო გასვლითი (ქალაქის გარეთ). საზღვარგარეთ ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობამ 79 ერთეული შეადგინა, რომელშიც 920 პირი მონაწილეობდა.

15.06.2023

2022 წელს ჩატარებული სპექტაკლების რაოდენობა, წინა წელთან შედარებით 112.3 პროცენტით გაიზარდა და 3 794 ერთეული შეადგინა. სპექტაკლების ნახევარზე მეტი (63.7 პროცენტი) ქ. თბილისში ჩატარდა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ჩატარებული სპექტაკლების რაოდენობა რეგიონების მიხედვით, 2021-2022 წლებში.

დიაგრამა №2

ჩატარებული სპექტაკლების რაოდენობა რეგიონების მიხედვით, 2021-2022 წლებში
(ერთეული)



2022 წელს ღონისძიებებზე დამსწრე მაყურებელთა საერთო რიცხოვნობა, წინა წელთან შედარებით 3-ჯერ გაიზარდა და 547.0 ათასი შეადგინა. მაყურებელთა დასწრების ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩეოდა ქ. თბილისი (64.8 პროცენტით), ხოლო მეორე ადგილზეა იმერეთი (10.0 პროცენტით).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მაყურებელთა რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით, 2021-2022 წლებში.

დიაგრამა №3

მაყურებელთა რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით, 2021-2022 წლებში

(ათასი კაცი)



მუზეუმების სტატისტიკური გამოკვლევა

2022 წელს საქართველოში 252 მუზეუმი და მუზეუმ-ნაკრძალი ფუნქციონირებდა, საიდანაც 98 ერთეული წარმოადგენს მემორიალურ მუზეუმს, 71 ერთეული - ისტორიულს (მხარეთმცოდნეობის), 24 ერთეული - ხელოვნების, 13 ერთეული - მუზეუმ-ნაკრძალს, 2 ერთეული - ლიტერატურულს, ხოლო 44 სხვა სახის მუზეუმს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მუზეუმების და მუზეუმ-ნაკრძალების განაწილება ტიპების მიხედვით, 2022 წელს.

დიაგრამა №4

მუზეუმების და მუზეუმ-ნაკრძალების განაწილება 2022 წელს



2022 წელს ყველაზე მეტი მუზეუმი ფუნქციონირებდა ქ. თბილისში (23.0 %). ამ მაჩვენებლით მეორე და მესამე ადგილებზე იმერეთის (15.9%) და კახეთის (13.5%) რეგიონებია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მუზეუმების და მუზეუმ-ნაკრძალების რაოდენობა რეგიონების მიხედვით, 2022 წელს.

დიაგრამა №5

მუზეუმების და მუზეუმ-ნაკრძალების რაოდენობა რეგიონების მიხედვით, 2022 წელს
(ერთეული)



2022 წელს მუზეუმებში დამთვალიერებელთა რიცხოვნობა, წინა წელთან შედარებით 109.2 პროცენტით გაიზარდა და 1 688.2 ათასი კაცი შეადგინა. საშუალოდ ერთ მუზეუმზე 6.7 ათასი დამთვალიერებელი მოდის.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დამთვალიერებელთა რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით, 2021-2022 წლებში.

დიაგრამა №6

დამთვალიერებელთა რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით, 2021-2022 წლებში

(ათასი კაცი)



2022 წელს მუზეუმებში ექსკურსიების რაოდენობა 95.0 პროცენტით გაიზარდა და 39 110 ერთეული შეადგინა, ხოლო გამოფენათა რაოდენობა - 59.0 პროცენტით გაიზარდა და 854 ერთეული იყო.

საკონტაქტო პირები:

ვასილ წაქაძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (600). E-mail: vtsakadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge